



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N11

3 მაისი 2019 წ.

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის № 52 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 28/12/2017; 010250020.35.167.016343).

მუხლი 2

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის“ დებულებაში განხორციელებული იქნას შემდეგი ცვლილება:

1.დებულების მე-3 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ფ) ახლად აშენებული, რეკონსტრუირებული და დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განხორციელება;“.

2. დებულების მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ახლად აშენებული, რეკონსტრუირებული და დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განხორციელება;“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 3 ივნისიდან.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია